

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. ძირითადი საშუალებები	17
6. მარაგები.....	18
7. სავაჭრო მოთხოვნები.....	18
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
9. მიღებული სესხები	20
10. საგადასახადო ვალდებულებები.....	21
11. სავაჭრო ვალდებულებები.....	21
12. სხვა ვალდებულებები.....	21
13. ამონაგები.....	21
14. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	22
15. გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
16. პირობითი ვალდებულებები	22
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	25
19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	25

მმართველობის ანგარიშგება.....	34
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობის“
ხელმძღვანელობასა და მფლობელს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ „ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე – მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 აპრილი, 2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

ჩავატარეთ „ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

6 აპრილი, 2022 წელი

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,130,808	2,751,709
აქტივების გამოყენების უფლება		234,674	198,645
არამატერიალური აქტივები		25,381	32,974
სავაჭრო მოთხოვნები		-	99,000
		3,390,863	2,983,328
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	2,677,414	3,627,343
სავაჭრო მოთხოვნები	7	1,026,301	2,202,825
სხვა აქტივები		55,726	264,042
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	928,231	624,923
		4,687,672	6,719,133
სულ აქტივები		8,078,535	9,702,461
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,922,204	806,125
სულ კაპიტალი		1,922,204	806,125
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		130,451	86,708
		130,451	86,708
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	357,950	969,438
საიჯარო ვალდებულებები		99,453	90,296
საგადასახადო ვალდებულებები	10	65,309	166,373
სავაჭრო ვალდებულებები	11	5,243,112	7,075,172
სხვა ვალდებულებები	12	260,056	607,349
		6,025,880	8,908,628
სულ ვალდებულებები		6,156,331	8,995,336
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,078,535	9,801,461

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ბაზარ გუვენი

10-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(აშშ დოლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	3,130,808	2,751,709
აქტივების გამოყენების უფლება		234,674	198,645
არამატერიალური აქტივები		25,381	32,974
სავაჭრო მოთხოვნები		-	99,000
		3,390,863	2,983,328
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	2,677,414	3,627,343
სავაჭრო მოთხოვნები	7	1,026,301	2,202,825
სხვა აქტივები		55,726	264,042
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	928,231	624,923
		4,687,672	6,719,133
სულ აქტივები		8,078,535	9,702,461
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,922,204	806,125
სულ კაპიტალი		1,922,204	806,125
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		130,451	86,708
		130,451	86,708
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	357,950	969,438
საიჯარო ვალდებულებები		99,453	90,296
საგადასახადო ვალდებულებები	10	65,309	166,373
სავაჭრო ვალდებულებები	11	5,243,112	7,075,172
სხვა ვალდებულებები	12	260,056	607,349
		6,025,880	8,908,628
სულ ვალდებულებები		6,156,331	8,995,336
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,078,535	9,801,461

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 6 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ბაშარ გუვენი

10-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	13	16,250,993	10,624,229
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	14	(14,098,849)	(9,137,378)
საერთო მოგება		2,152,144	1,486,851
გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,051,942)	(1,050,024)
სხვა შემოსავალი, წმინდა		-	34,892
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება		(40,384)	(255,472)
საოპერაციო მოგება		1,059,818	216,247
ფინანსური ხარჯი		(75,110)	(71,538)
მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა		131,371	(155,961)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		1,116,079	(11,252)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		1,116,079	(11,252)

10-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	817,377	817,377
წლის მთლიანი წმინდა ზარალი	(11,252)	(11,252)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	806,125	806,125
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	1,116,079	1,116,079
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	1,922,204	1,922,204

10-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„ბორუსან მაქინა ვე გუჟ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	1,116,079	(11,252)
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	252,349	296,700
მარაგების გაუფასურების ცვლილება	76,309	(74,994)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	40,384	255,472
გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული ზარალი	4,763	62,261
ფინანსური ხარჯი	75,110	71,538
წმინდა მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(131,371)	155,961
	1,433,623	755,686
კლება/(ზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
მარაგები	343,499	616,341
დებიტორული დავალიანება	1,257,012	(1,408,331)
სხვა აქტივები	170,038	(258,202)
ზრდა/(კლება) შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო ვალდებულებები	(1,657,718)	(1,453,868)
სხვა ვალდებულებები	(341,329)	524,722
საგადასახადო ვალდებულებები	(101,730)	175,736
	1,103,395	(1,047,816)
გადახდილი პროცენტი	(72,604)	(51,314)
გადახდილი საიჯარო ვალდებულების პროცენტი	(17,273)	(23,776)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	1,013,518	(1,122,906)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(26,239)	(23,069)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	41,452	267,000
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	15,213	243,931
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	330,807	917,082
გადახდილი სესხები	(956,025)	(417,101)
გადახდილი საიჯარო ვალდებულება	(102,022)	(109,875)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(727,240)	390,106
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები	301,491	(488,869)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	624,923	1,146,674
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	1,817	(32,882)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	928,231	624,923

10-33 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„ბორუსან მაქინა ვე გუჟ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

„ბორუსან მაქინა ვე გუჟ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“ (შემდეგ – კომპანია) წარმოადგენს უცხოური საწარმოს ფილიალს, რომელიც დაფუძნდა 1997 წლის 6 ოქტომბრის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 204907164.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, №118. კომპანია არის სს „ბორუსან მაქინა ვე გუჟ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთი“-ს (366846, თურქეთი) ფილიალი საქართველოში. კომპანიის დირექტორია ბაშარ გუვენი (U13478116, თურქეთი).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ამერიკული ბრენდის - “Caterpillar”-ის წარმოების საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების, ენერგეტიკული სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვა, ასევე მათი შემდგომი მომსახურება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 2 მაღაზია (2020: 3 მაღაზია) და 1 ოფისი (2020: 1 ოფისი) შემდეგ ქალაქებში: თბილისსა და ბათუმში.

სს „ბორუსან მაქინა ვე გუჟ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთი“-ს (366846, თურქეთი) ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული და მას აქვს უფლება მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეცვალოს მისი გამოცემის შემდეგ.

2. მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აშშ დოლარში. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს–ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია 19-ე შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში. მომზადების საფუძველის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კოვიდ-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებსა და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე.

კოვიდ-19-მა შეზღუდა ადამიანებისა და საქონლის გადაადგილება მთელ მსოფლიოში. ასევე, გავლენა მოახდინა მრავალი ბიზნეს-სუბიექტის მომგებიანობასა და გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში შეინიშნებოდა გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობა 2021 წელს, ბევრი ქვეყანა და ინდუსტრია კვლავ განიცდის მნიშვნელოვან გავლენას კოვიდ-19-ის უარყოფითი ზემოქმედებით. ეს მოიცავს მიწოდების ჯაჭვის შეფერხებებს, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირებას, ასევე, მთავრობის მიერ დაწესებულ შესაძლო შეზღუდვებთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს არ შემცირებულა მნიშვნელოვნად მოთხოვნა მის პროდუქციაზე, სერვისსა და საქმიანობაზე.

კომპანია მუდმივად აფასებს კოვიდ-19 გლობალური პანდემიის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალ ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად კომპანია აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება კომპანიის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელზეც მოქმედებენ კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანიამ გაითვალისწინა კოვიდ-19 გლობალური პანდემიის გავლენა მათი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

დაბეგვრა - ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	928,231	624,923
სავაჭრო მოთხოვნები	1,026,301	2,202,825
	1,954,532	2,827,748
ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიღებული სესხები	357,950	969,438
სავაჭრო ვალდებულებები	5,243,112	7,075,172
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	87,665	59,403
საიჯარო ვალდებულებები	229,904	177,004
	5,918,631	8,281,017

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანია წარადგენს ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL“). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

სავაჭრო მოთხოვნების ზემოთ მოცემული თანხები არის გაუფასურების რეზერვთან დანეტილი თანხები. სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასანეიტრალებლად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში. ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ლიკვიდურობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	1 წლამდე	1 - 2 წელი	2 - 5 წელი	> 5 წელი	სულ
მიღებული სესხები	9	357,950	-	-	-	357,950
სავაჭრო ვალდებულებები	11	5,243,112	-	-	-	5,243,112
სხვა ვალდებულებები	12	87,665	-	-	-	87,665
საიჯარო ვალდებულებები		126,044	168,333	-	-	294,377
		5,814,771	168,333	-	-	5,983,104

ლიკვიდურობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისთვის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	1 წლამდე	1 - 2 წელი	2 - 5 წელი	> 5 წელი	სულ
მიღებული სესხები	9	969,438	-	-	-	969,438
სავაჭრო ვალდებულებები	11	7,075,172	-	-	-	7,075,172
სხვა ვალდებულებები	12	59,403	-	-	-	59,403
საიჯარო ვალდებულებები		75,000	119,727	-	-	194,727
		8,179,013	119,727	-	-	8,298,740

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმოქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი მიღებულ სესხებსა და საიჯარო ვალდებულებებზე. კომპანიამ განსაზღვრა ზღვრული საპროცენტო განაკვეთი საიჯარო გადასახდელებისთვის და დაიანგარიშა როგორც საშუალო-შეწონილი განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი არის ფიქსირებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	7	626,816	377,060	22,425	1,026,301
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	681,550	233,850	12,831	928,231
		1,308,366	610,910	35,256	1,954,532
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	9	-	357,950	-	357,950
სავაჭრო ვალდებულებები	11	3,817,619	17,490	1,408,003	5,243,112
სხვა ვალდებულებები	12	-	87,665	-	87,665
საიჯარო ვალდებულებები		14,698	215,206	-	229,904
		3,832,317	678,311	1,408,003	5,918,631
ღია საბალანსო პოზიცია		(2,523,951)	(67,401)	(1,372,747)	(3,964,099)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	აშშ დოლარი	ლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	7	1,621,095	529,088	52,642	2,202,825
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	1,610	540,629	82,684	624,923
		1,622,705	1,069,717	135,326	2,827,748
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	9	-	969,438	-	969,438
სავაჭრო ვალდებულებები	11	5,318,503	9,857	1,746,812	7,075,172
სხვა ვალდებულებები	12	-	59,403	-	59,403
საიჯარო ვალდებულებები		67,787	109,217	-	177,004
		5,386,290	1,147,915	1,746,812	8,281,017
ღია საბალანსო პოზიცია		(3,763,585)	(78,198)	(1,611,486)	(5,453,269)

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის აშშ დოლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე მნიშვნელოვანი სავალუტო ნაშთების გადაფასების ეფექტი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის სენსიტიურობა	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	+20%	-20%	+20%	-20%
ლარის ეფექტი	(13,480)	13,480	(15,640)	15,640
ევროს ეფექტი	(274,549)	274,549	(322,297)	322,297

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ორგანიზაცია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფასს 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

„ზორუსან მაქინა ვე გურ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,050,610	1,564,387	834,640	454,995	212,880	30,245	4,147,757
შემოსვლა	-	-	8,496	14,573	-	-	23,069
გასვლა	-	-	(424,081)	-	(59,259)	-	(483,340)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,050,610	1,564,387	419,055	469,568	153,621	30,245	3,687,486
შემოსვლა	-	3,037	820	19,707	-	2,675	26,239
გასვლა	-	-	(46,404)	(23,904)	(16,500)	-	(86,808)
მარაგებიდან გადატანა	-	-	529,049*	-	-	-	529,049
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	1,050,610	1,567,424	902,520	465,371	137,121	32,920	4,155,966
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	-	(196,522)	(300,688)	(253,055)	(141,653)	(18,600)	(910,518)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(31,288)	(60,780)	(64,378)	(16,843)	(6,049)	(179,338)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	120,778	-	33,301	-	154,079
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	(227,810)	(240,690)	(317,433)	(125,195)	(24,649)	(935,777)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(31,288)	(36,180)	(46,774)	(10,834)	(4,898)	(129,974)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	23,975	943	15,675	-	40,593
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	(259,098)	(252,895)	(363,264)	(120,354)	(29,547)	(1,025,158)
საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერი	1,050,610	1,336,577	178,365	152,135	28,426	5,596	2,751,709
2021 წლის 31 დეკემბერი	1,050,610	1,308,326	649,625	102,107	16,767	3,373	3,130,808

ისეთი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომელთა საბალანსო ღირებულებაც ნულია და კომპანია ისევ იყენებს წარმომადგენს 252,280 აშშ დოლარსა და 293,021 აშშ დოლარს, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

*2021 წლის დეკემბერში, კომპანიამ საოპერაციო იჯარით გააქირავა ტექნიკა. კონტრაქტი არის ერთწლიანი. მისაღები საიჯარო შემოსავალი ერთი წლის მანძილზე შეადგენს 130,800 აშშ დოლარს.

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

6. მარაგები

მარაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მომრავი ტექნიკა	857,759	2,021,770
მარაგ-ნაწილები	1,774,709	1,476,663
ელექტრონული სისტემები	64,322	93,682
სხვა	205,099	183,394
	2,901,889	3,775,509
მარაგების მოძველების რეზერვი	(224,475)	(148,166)
	2,677,414	3,627,343

7. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,362,719	2,416,149
შიდაჯგუფური მოთხოვნები	9,921	101,421
გამოკლებული: სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(346,339)	(314,745)
სავაჭრო მოთხოვნები - წმინდა	1,026,301	2,202,825

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან.

კომპანია განსაზღვრავს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგს. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

კოვიდ-19 პანდემიის უპრეცედენტო ხასიათის და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელი გავლენის გამო კომპანიამ ხელახლა შეაფასა გაუფასურების მოდელი და დაეყრდნო ხელმძღვანელობის მსჯელობას მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს კოვიდ-19-ის ეფექტს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. ჩატარებული ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება დაკვირვებად და შიდა მონაცემებს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთის ცვლილება განსხვავებულია იმ სეგმენტებისთვის, სადაც ოპერირებენ კომპანიის მომხმარებლები.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, კომპანიამ სავაჭრო მოთხოვნებში შემავალი ფინანსური აქტივები, კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით, გამიჯნა სეგმენტებად მათ საქმიანობაზე კოვიდ-19-ით გამოწვეული ნეგატიური გავლენის მაჩვენებლის მიხედვით. ყველა მოთხოვნა დაკლასიფიცირდა ისეთ მოთხოვნებად, რომლებსაც ახასიათებთ კოვიდ-19-ით გამოწვეული ნეგატიური გავლენის საშუალო მაჩვენებელი და მომავალში მოსალოდნელია მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობის საშუალო ტემპით გაუმჯობესება.

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

7. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

გარდა მაკროეკონომიკური ფაქტორებისა, ხელმძღვანელობამ ასევე გაითვალისწინა, კომპანიის მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტის ინდივიდუალური მახასიათებელი, სხვა დამატებითი გარემოებები და რისკ ფაქტორები, რომელიც ასახავს ისეთ გავლენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთზე, რასაც არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური ფაქტორები. შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით, კომპანიამ განაახლა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საკრედიტო ზარალის განაკვეთების ცვლილების ეფექტმა გაუფასურების რეზერვზე შეადგინა 13,047 აშშ დოლარი.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<u><30 დღე</u>	<u>31-60 დღე</u>	<u>61-120 დღე</u>	<u>121-180 დღე</u>	<u>181-360 დღე</u>	<u>> 360 დღეზე</u>	<u>სულ</u>
მოსალოდნელი დანაკარგი	1.11%	3.34%	11.13%	55.63%	77.88%	100.00%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	902,518	46,663	77,009	16,467	13,682	306,380	1,362,719
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	10,020	1,557	8,567	9,160	10,655	306,380	346,339

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<u><31 დღე</u>	<u>31-60 დღე</u>	<u>61-120 დღე</u>	<u>121-180 დღე</u>	<u>181-360 დღე</u>	<u>> 360 დღეზე</u>	<u>სულ</u>
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	2,090,497	44,850	60,894	51,868	34,500	234,961	2,517,570
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	22,265	1,346	6,089	25,934	24,150	234,961	314,745

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<u>2021</u>	<u>2020</u>
1 იანვარი	314,745	69,663
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	144,077	275,703
წინა პერიოდებში ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	(103,693)	(20,231)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	40,384	255,472
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	(8,790)	(10,390)
31 დეკემბერი 2021	346,339	314,745

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<u>31 დეკემბერი 2021</u>	<u>31 დეკემბერი 2020</u>
ფული რეზიდენტ ბანკებში აშშ დოლარში	681,550	1,610
ფული რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	246,681	623,313
	928,231	624,923

„ბორუსან მაქინა ვე გუპ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

8. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები განთავსებული იყო შემდეგ ბანკებში:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სს "თიბისი ბანკი"	223,073	488,867
სს "საქართველოს ბანკი"	691,728	638
სს "ზირაათ ბანკი"	13,365	73,113
სს "იშ ბანკი"	65	62,305
	928,231	624,923

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

9. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სს "იშბანკი"					
სესხი 1	ლარი	11.50%	1 მარტი 2021	-	446,815
სესხი 2	აშშ დოლარი	5.50%	20 ნოემბერი 2021	-	402,506
სესხი 3	ლარი	11.50%	17 იანვარი 2022	357,950	-
MIT MACHINE INTERTRADE LTD					
სესხი 4	აშშ დოლარი	5.50%	24 დეკემბერი 2021	-	120,117
				357,950	969,438

მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

მიღებულ სესხებში ბრუნვა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2021	2020
1 იანვარი	969,438	428,519
ფულადი ნაკადების მოძრაობა		
ახალი სესხის მიღება	330,807	917,082
სესხის ძირის დაფარვა	(956,025)	(417,101)
სესხის პროცენტის დაფარვა	(72,604)	(51,314)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა		
ვალდებულების სესხად კონვერტირება	-	120,000
პერიოდის საპროცენტო ხარჯი	68,755	47,762
კურსთაშორისი სხვაობა	17,579	(75,510)
31 დეკემბერი	357,950	969,438

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

10. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო ღირებულებით, თანხით 65,309 აშშ დოლარი და 166,373 აშშ დოლარი ვალდებულება, შესაბამისად.

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	17,489	12,623
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	5,225,623	7,062,549
	5,243,112	7,075,172

სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო ვალდებულებების ვალუტისა და ვადიანობის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

12. სხვა ვალდებულებები

სხვა მიმდინარე ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საკონტრაქტო ვალდებულებები	172,391	547,946
თანამშრომელთა საბონუსე ანარიცხი	87,665	59,403
	260,056	607,349

13. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2021	2020
ამონაგები საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების გაყიდვიდან	10,209,808	5,894,398
ამონაგები სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან და მომსახურებიდან	5,152,835	4,514,045
ამონაგები ენერგეტიკული სისტემების გაყიდვიდან	560,199	200,906
სხვა	328,151	14,880
	16,250,993	10,624,229

ყველა სახის ამონაგები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, გარდა მომსახურების ნაწილისა, რომელიც აღიარდება დროთა განმავლობაში.

კომპანიის მიერ მიღებული ამონაგები ექსპორტიდან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 317,277 აშშ დოლარი და 931,015 აშშ დოლარი, შესაბამისად.

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემური სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

14. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2021	2020
საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების თვითღირებულება	(9,537,295)	(5,538,729)
სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების თვითღირებულება	(3,717,906)	(3,411,863)
ენერგეტიკული სისტემების თვითღირებულება	(557,357)	(177,505)
სხვა	(286,291)	(9,281)
	(14,098,849)	(9,137,378)

გაყიდული საქონლის თვითღირებულება მოიცავს ზედნადებ ხარჯებს, რომელთაგან ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2021 და 2020 წლების საანგარიშგებო პერიოდებისთვის შეადგენს 83,198 აშშ დოლარსა და 113,769 აშშ დოლარს, შესაბამისად.

15. გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

გაყიდვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2021	2020
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი*	(612,481)	(563,333)
ცვეთა და ამორტიზაცია	(169,151)	(182,931)
აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(58,061)	(68,730)
საგადასახადო ხარჯი	(54,371)	(43,098)
ოფისის ხარჯი	(41,521)	(39,610)
მივლინების ხარჯი	(9,693)	(43,700)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი	(33,648)	(11,971)
საწვავის ხარჯი	(15,314)	(11,673)
სხვა ხარჯი	(57,702)	(84,978)
	(1,051,942)	(1,050,024)

* 2021 წლის მანძილზე, ადმინისტრაციული და კომერციული დეპარტამენტის თანამშრომელთა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 290,706 აშშ დოლარი და 321,775 აშშ დოლარი, შესაბამისად. (2020: 272,309 აშშ დოლარი და 291,024 აშშ დოლარი, შესაბამისად)

16. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახდო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

16. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 242,453 აშშ დოლარი. საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 92¹ ნაწილის მიხედვით არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება მოგების გადასახადით არ იბეგრება, შესაბამისად სრულად განაწილების შემთხვევაში მოგების გადასახადით არ დაიბეგრება 305,854 დოლარი, ხოლო 2017 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში მიღებული მოგების 1,616,350 აშშ დოლარის - განაწილება დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას

ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოდგენს:

- ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი
- გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი
- დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

„ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	დაკავშირებული მხარე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები		9,921	101,421
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. AZERBAIJAN	ერთობლივი მფლობელობა	-	91,500
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S.	დამფუძნებელი	9,921	9,921
სავაჭრო ვალდებულებები		5,225,623	7,062,549
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S.	დამფუძნებელი	1,453,653	2,829,293
BORUSAN IS MAKINALARI KIRALAMA SAN. VE TIC. A.S.	ერთობლივი მფლობელობა	-	100,680
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. AZERBAIJAN	ერთობლივი მფლობელობა	3,553	-
MIT INTERNATIONAL TRADE LIMITED	ერთობლივი მფლობელობა	3,768,417	4,132,576
მარაგების შესყიდვა		11,836,053	7,202,764
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S.	დამფუძნებელი	756,808	71,749
MIT INTERNATIONAL TRADE LIMITED	ერთობლივი მფლობელობა	10,941,892	6,754,691
BORUSAN IS MAKINALARI KIRALAMA SAN. VE TIC. A.S.	ერთობლივი მფლობელობა	-	146,324
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. AZERBAIJAN	ერთობლივი მფლობელობა	137,353	230,000

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

		2021	2020
	დაკავშირებული მხარე	მოძრაობა დაკავშირებულ მხარესთან	მოძრაობა დაკავშირებულ მხარესთან
ამონაგები		282,617	1,267,848
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S. AZERBAIJAN	ერთობლივი მფლობელობა	192,000	810,118
MIT INTERNATIONAL TRADE LIMITED	ერთობლივი მფლობელობა	88,617	84,956
BORUSAN MAKINA VE GUC SISTEMLERI SAN. VE TIC. A.S.	ერთობლივი მფლობელობა	2,000	372,774
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო		67,831	92,050

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ აიღო 325,775 დოლარის ოდენობის 1 წლიანი სესხი.

2022 წლის თებერვლიდან უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას შორის კონფლიქტი მიმდინარეობს. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება სიტუაციას და ამ კონფლიქტის პოტენციურ გავლენას კომპანიაზე.

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის ოპერაციებზე აღნიშნულ მოვლენებს არ აქვს მიმდინარე ან პოტენციური გავლენა. ხელმძღვანელობას უკვე აქვს დაგეგმილი პოტენციური რისკებისა და ზემოქმედების ეფექტის შემცირების გეგმები კომპანიისა და ჯგუფის დონეზე.

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია სამუშაო და წარსადგენ ვალუტად იყენებს აშშ დოლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს აშშ დოლარს.

კომპანიის მიერ სამუშაო ვალუტის შერჩევის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი მსჯელობა: მის მიერ განხორციელებული შესყიდვები არსებითად (თითქმის სრულად) არის აშშ დოლარში. გაყიდვები მართალია ძირითადად ლარშია, მაგრამ საფასო პოლიტიკა დოლარშია და გაყიდვები ადგილობრივ ბაზარზე დოლარის კურსის შესაბამისად იცვლება. აშშ დოლარში ასევე ხორციელდება ისეთი ოპერაციები, როგორიცაა საოპერაციო ხარჯების ნაწილის გაწევა, ვალდებულებების დაფარვა და სხვა. კომპანია არის „ბორუსან მაქინას“ ჯგუფის წევრი და ჯგუფის ყველა მონაწილის სამუშაო ვალუტა არის აშშ დოლარი, გარდა დედა კომპანიისა, რადგან მისი მოქმედების არეალი არის ევრო ზონა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	ლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	0.3228	0.8840
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	0.3052	0.8144

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დაკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მიმდინარე ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი. იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი 2021 და 2020 წლისათვის შეადგენდა წლიურ 7%-11%-ს იჯარების ვადიანობისა და ვალუტების მიხედვით.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

აღიარება და შეფასება

კომპანია საოპერაციო იჯარად აღიარებს გაქირავებულ ტექნიკას. კომპანია საოპერაციო იჯარიდან მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს წრფივი მეთოდით.

კომპანია ხარჯის სახით აღიარებს დანახარჯებს, მათ შორის ცვეთას, რომელიც გასწია საიჯარო შემოსავლის მისაღებად.

კომპანია საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას უმატებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც გასწია საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესათანხმებლად და ამ დანახარჯებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებს ხარჯის სახით იმავე საფუძველით, რომელიც გამოიყენა საიჯარო შემოსავალთან მიმართებით.

იმ ცვეთადი საიჯარო აქტივების ცვეთის პოლიტიკა, რომლებიც საოპერაციო იჯარის საგანია, შეესაბამება კომპანიის სტანდარტული ცვეთის პოლიტიკას, რომელსაც ანალოგიური აქტივების მიმართ იყენებს. კომპანია ცვეთას ითვლის ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესაბამისად.

კომპანიამ ბასს 36 იყენებს იმის დასადგენად, გაუფასურებულია თუ არა საიჯარო აქტივი, რომელიც საოპერაციო იჯარის საგანია და ასევე, გამოვლენილი გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის.

კომპანია საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ აღიარებს გაყიდვიდან მიღებულ მოგებას, ვინაიდან საოპერაციო იჯარა არ არის გაყიდვის ეკვივალენტური ოპერაცია.

იჯარის მოდიფიკაცია

კომპანია საოპერაციო იჯარის მოდიფიკაციას აღრიცხავს როგორც ახალ იჯარას მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღიდან, ხოლო თავდაპირველ იჯარასთან დაკავშირებული წინასწარ განხორციელებულ ან დარიცხულ საიჯარო გადახდებს მიიჩნევს ახალი იჯარის შესაბამისი საიჯარო გადახდების ნაწილად.

წარდგენა

კომპანია საიჯარო აქტივებს, რომლებიც საოპერაციო იჯარის საგანია, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს საიჯარო აქტივის ტიპის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს და ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას. ძირითადი საშუალებებისთვის შეძენილი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მისი ფუნქციონალურობისათვის აუცილებელია, კაპიტალიზდება როგორც შესაბამისი ძირითადი საშუალების ნაწილი.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	ცვეთა არ ერიცხება
შენობები	50
მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობები	4-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	2-13
სატრანსპორტო საშუალებები	5-12
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-10

სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდიანებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმომქმნელი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, პარტნიორთა საერთო კრებაზე.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისთვის საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების, ენერგეტიკული სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების მიყიდვა, ასევე მათი შემდგომი მომსახურება.

კომპანიის პოლიტიკა ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლის მაფორმირებელი საქმიანობებისთვის მოცემულია ქვემოთ:

ამონაგები საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების, ენერგეტიკული სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან

ამონაგები საგზაო-სამშენებლო მოწყობილობების, ენერგეტიკული სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების ნაწილის გადახდა ხდება ავანსად, ხოლო დარჩენილი ნაწილისა დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამ სახის შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ამონაგები შემდგომი მომსახურებიდან

ამონაგები შემდგომი მომსახურებიდან მოიცავს მაგ. სათადარიგო ნაწილების შეცვლას, ყოველთვიურ თუ ერთჯერად პროფილაქტიკურ მიმოხილვას, ტექნიკის ქირავნობა და სხვა. ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის მაგ. ყოველთვიური მომსახურება, ტექნიკის ქირავნობა და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად, ხოლო ამონაგები ერთჯერადი მომსახურებიდან მაგ. სათადარიგო ნაწილის შეცვლა, აღიარდება მაშინ, როდესაც აღნიშნული ერთჯერადი მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება მთლიანად, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების მიღება, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქცია შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სახელფასო ხარჯები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

19. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შინაარსი:

1. საქმიანობის მიმოხილვა.....	35
2. განვითარების გეგმა.....	36
3. კვლევის სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	36
4. პროდუქტის განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	36
5. ინფორმაცია ფილიალების შესახებ.....	36
6. 2021 და 2021 წლების ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები	36
7. საკუთარი წილების შეძენა კომპანიის მიერ	38
8. რისკები და მათი მართვა.....	38

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

1. საქმიანობის მიმოხილვა

„ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს-ის საქართველოს წარმომადგენლობა“ (შემდგომში ბორუსან კატ საქართველო), არის Borusan Makina ve Güç Sistemleri Sanayi ve Ticaret A.Ş. („BMGS“-ს წარმომადგენელი საქართველოში და ეწევა სადისტრიბუციო საქმიანობას. ბორუსან კატ საქართველოს საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სამშენებლო სპეც-ტექნიკის, ელექტრო კვების სისტემების და სათადარიგო ნაწილების იმპორტი და მათი საქართველოში რეალიზაცია, ასევე სპეც-ტექნიკის სარემონტო მომსახურების გაწევა.


1997 წლიდან ბორუსან კატ საქართველო კომპანია Caterpillar-ის ოფიციალური და ერთადერთი წარმომადგენელია საქართველოში.

ბორუსან კატ საქართველო კლიენტებს მრავალფეროვან საქონელსა და მომსახურებას სთავაზობს, მათ შორის, გაყიდვებისა და გაყიდვების შემდგომი მხარდაჭერის მომსახურებას, Caterpillar-ის ახალ სამშენებლო და მიწის სათხრელ ტექნიკას, მეორად მომსახურებას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს სერტიფიცირებულ მეორად სამშენებლო და მიწის სათხრელ ტექნიკას, კომბინირებული გენერაციის და მექანიკური ენერგიის გამომუშავების დანადგარებს (სატუმბო სადგურები და კომპრესორები) დიზელის და კომბინირებული გენერაციის გაზის ძრავით და ელექტრო კვების სისტემებით, მაგ.: გენერატორულ დანადგარს ავარიული შემთხვევებისთვის, გამოყენებისთვის სრულ მზადყოფნაში მყოფ ბიოგაზის და ნარჩენი გაზის მისაღებ სადგურებს, დიზელზე მომუშავე საზღვაო და დამხმარე (გენერატორის) ძრავებს, მეორად გენერატორებს, სტატიკური და დინამიური უწყვეტი კვების სისტემებს; ასევე დაფინანსების მომსახურებას მრეწველობის ყველა სეგმენტში, ორგანიზაციის ფარგლებში კლიენტებისთვის კომბინირებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

თავის პროდუქტების ფართო სპექტრით ბორუსან კატ საქართველო ინდუსტრიის მრავალ დარგს ემსახურება, მათ შორის: ზოგად და მძიმე რეჟიმში მშენებლობის, სამთო, სამრეწველო, საფეიქრო, ფოლადის წარმოების, ქიმიური, სამედიცინო, კერამიკის, ხის დამუშავების, საავტომობილო ტექნიკის, პლასტმასის წარმოების, საკვები პროდუქტების წარმოების და ენერგეტიკის სექტორებს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ბორუსან მაქინა ვე გუზ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთი“ (თურქეთი), რომელიც 1994 წლიდან ოპერირებს როგორც „Caterpillar“-ის ოფიციალური დილერი-წარმომადგენელი. გარდა ამისა, აწარმოებს შემდეგი კომპანიების პროდუქციის დისტრიბუციას: Metso, Mantsinen, Mecalac, Terex O&K, Exxon Mobil, MaK, Olympian, BESys, EMD და ClydeUnion და უკავია წამყვანი პოზიციები თურქეთის მსხვილ კომპანიებს შორის.

ორგანიზაციის სტრუქტურა



„ბორუსან მაქინა ვე გუჟ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

2. განვითარების გეგმა

კომპანიის ბიზნეს სტრატეგია გამომდინარეობს ჯგუფის ბიზნეს სტრატეგიიდან.

ბორუსანის ჯგუფის ძირითადი სტრატეგია ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკის თითოეულ მიმართულებაში დამატებული ღირებულების განუწყვეტლივ შექმნას და გლობალურ ბაზრებზე ფოკუსირებული, ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შემქმნელი აზროვნების მხარდაჭერას.

პროდუქტის განვითარება და ფასწარმოქმნის სტრატეგიები განისაზღვრება კატერპილარსა და ბორუსან კატ საქართველოსთან კოორდინაციის პირობებში. სს „ბორუსან მაქინა ვე გუჟ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთი“ (თურქეთი) და კატერპილარი მხარს უჭერენ ბორუსან კატ საქართველოს მარკეტინგული საქმიანობის გაგრძელებას, სტრატეგიული დაგეგმვასა და უცხოურ კომპანიებთან (ვისთვისაც კომპანია აწარმოებს პროდუქტების დისტრიბუციას) ურთიერთობების განვითარებას.

3. კვლევის სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია არ ეწევა კვლევისა და განვითარების საქმიანობას.

4. პროდუქტის განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

პროდუქტის განვითარებით დაკავებულია თავად კატერპილარი, ბორუსან კატ ჯორჯია კი მსგავს ღონისძიებებში არ არის ჩართული.

5. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი 0151, კახეთის გზატკეცილი 118, სადაც განლაგებულია კომპანიის ადმინისტრაციული ნაწილი და სერვის ცენტრი. გარდა ამისა, კომპანიას გააჩნია ორი ფილიალი 2017 წლიდან ბათუმსა და 2016 წლიდან თბილისში.

2021 და 2020 წლების გაყიდვების მონაცემები ფილიალების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2021	2020
ბათუმის ოფისი	2%	3%
დიღმის ოფისი	7%	8%
ცენტრალური ოფისი	91%	89%

როგორც ცხრილშია წარმოდგენილი, საგზაო-სამშენებლო ტექნიკასა და ენერგო სისტემების გაყიდვების პროცენტული რაოდენობა ნაწილდება სტაბილურად და ეს მაჩვენებლები მცირედით იცვლება წლიდან წლამდე. კომპანია მზად არის განაგრძოს ინვესტიციების ჩადება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული პერსპექტივის შესაბამისად.

6. 2021 და 2020 წლების ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

გაყიდვების მონაცემები ერთეულებში

	2021	2020	სხვაობა	ცვლილების %
საგზაო-სამშენებლო ტექნიკა	87	62	25	29%
ენერგო სისტემები	19	10	9	47%
ჯამი	106	72	34	32%

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(აშშ დოლარში)

6. 2021 და 2021 წლების ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

2021 წელს ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით საგზაო-სამშენებლო ტექნიკისა და ენერგო სისტემების გაყიდვების 32%-იანი მატება შეინიშნება, რაც გამოიწვია ბიზნესის დასტაბილურებამ და ეკონომიკური მდგომარეობის იმ წერტილში დაბრუნებამ, რაც პანდემიამდე გვექონდა მოცემულობად. გარდა ამისა, აღნიშნული მაჩვენებელი თავის მხრივ შედეგია კომპანიის მიერ გატარებული პოლიტიკისა, რამაც საშუალება მისცა კომპანიას გამკლავებოდა Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების უარყოფით ეფექტსა და მისგან შექმნილ ეკონომიკურ რეცესიას.

ძირითადი კოეფიციენტები

	2021	2020
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	78%	75%
ვალდებულებები საკუთარი კაპიტალის მიმართ	3,13%	11,05
აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი	13,82%	-0,1%

- მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები
- ვალდებულებები საკუთარი კაპიტალის მიმართ = მიმდინარე ვალდებულებები/მთლიანი კაპიტალი
- აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი = წმინდა მოგება/მთლიანი აქტივები

წლიდან წლამდე შეინიშნება დაფარვის განაკვეთის გაუმჯობესება, რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული კოეფიციენტი 3%-ით გაიზარდა 2020-დან 2021 წლამდე. თავის მხრივ, ეს მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები დაფარვის უნარიანობა სტაბილურად იზრდება.

შემდეგი კოეფიციენტის-ვალდებულებები საკუთარი კაპიტალის მიმართ- მაჩვენებელი 2020 წლიდან 2021 წლამდე მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია არის ფინანსურად უფრო დამოუკიდებელი, მეტ ვალდებულებას ფარავს საკუთარი კაპიტალით, რაც საერთო ჯამში დადებითად აისახება მთლიანად კომპანიაზე.

2020 წელთან შედარებით 2021 წლის აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი შესამჩნევად არის გაზრდილი, რაც გამოიწვია სოციალური დისტანცირების შემცირებამ და ეკონომიკური მდგომარეობის გააქტიურებამ. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენთვის ძირითადი სეგმენტი მსხვილი სამშენებლო კომპანიებია, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სახელმწიფო ტენდერებზე, პანდემიის პირველადი გავრცელებით გამოწვეული შეზღუდვების პირობებში ტენდერების რაოდენობამაც იკლო, თუმცა 2021 წელს შესაძლებელი გახდა ამ ტენდერების განხორციელება, რაც აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტის ზრდამაც აისახა, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიის მიერ აქტივების მართვის ხარისხი გაუმჯობესდა.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

(\$)	2021	2020	სხვაობა
გაყიდვები	16 250 993,00	10 624 229,00	5 626 764,00
საერთო მოგება	2 228 453,00	1 486 851,00	741 602,00
საოპერაციო მოგება	1 059 818,00	216 247,00	843 571,00
დაბეგვრამდე არსებული მოგება	1 116 079,00	- 11 252,00	1 127 331,00

2021 წელი, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდებოდა. ეკონომიკურ პროცესებს, ისევე როგორც გასულ წელს, ძირითადად, პანდემიის პირობებში მთავრობის მიერ დაწესებული მოგვიანებით კი შემცირებული შეზღუდვები განსაზღვრავდა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური პროცესების დასტაბილურებამ და ბიზნეს გარემოს გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო პარტნიორების გადახდისუნარიანობის ზრდას, რაც კომპანიის შიგნით ზემოთ მოცემულ მონაცემებშიც აისახა (გაყიდვები, საერთო მოგება, საოპერაციო მოგება, დაბეგვრამდე არსებული მოგება).

6. 2021 და 2021 წლების ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

როგორც უკვე აღინიშნა, პანდემიის პირველადი გავრცელებით გამოწვეული არასტაბილური პროცესები 2021 წლის ბოლოსთვის ჩანაცვლა ეკონომიკური მდგომარეობის გააქტიურებამ, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო სოციალური დისტანცირების შეზღუდვების ნელ-ნელა შემცირებით, რის შედეგადაც პანდემიის პირობებით გამოწვეული შეფერხებები სახელმწიფო და კერძო ბიზნესის პროექტების განხორციელების პროცესში გამოსწორდა და 2021 წელს შესაძლებელი გახდა უკვე მათი უმრავლესობა განხორციელებულიყო.

7. საკუთარი წილების შეძენა კომპანიის მიერ

კომპანიის მიერ წლის განმავლობაში არ განხორციელებულა საკუთარი წილების შესყიდვა.

8. რისკები და მათი მართვა

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი გულისხმობს კომპანიის გაყიდვებზე უარყოფით ზეგავლენას გაძლიერებული კონკურენციის ზრდის პირობებში, ბაზარზე უარყოფითი მოთხოვნის პირობების ჩამოყალიბებას, მარცხს ბაზრების შექმნის საქმეში ან მომხმარებელთა მოლოდინის შესაბამისი პროდუქტების არაადეკვატური რაოდენობით მიწოდებას. კვლევისა და განვითარების ინვესტიციებისა და წარმოების საქმიანობის საზღვარგარეთ განხორციელების გამო, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო რისკმა შესაძლოა განსაკუთრებით იმოქმედოს კატერპილარის არა-რეზიდენტ კომპანიაზე. ამის გარდა, საქართველოში სამშენებლო აღჭურვილობისა და ენერგო სისტემების მრეწველობის სფეროში მოღვაწე ყველა სხვა კომპანიის მსგავსად, ბორუსან კატ საქართველოზეც მოქმედებს მრეწველობაში არსებული მიწოდება-მოთხოვნის ფაქტორები და ისიც ატარებს საბაზრო რისკს.

საქართველოში საგზაო სამშენებლო ტექნიკითა და ენერგოსისტემების სტრუქტურითა და რყევებით გამოწვეულ შესაძლო რისკებს თავის თავზე იღებს ძირითადად სს „ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთი“ (თურქეთი).

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები

- მომხმარებელბთან კარგი ურთიერთობები;
- კარგი კომუნიკაცია კატერპილართან;
- გადახდის საშეღავათო ფორმების გამოყენება.

მარაგების გაუფასურების რისკი

სასაქონლო ნაშთის რისკი დაკავშირებულია კომპანიის პოტენციალთან პროდუქციის საბოლოო მარაგებთან მიმართებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის დაზარალება. სასაქონლო ნაშთის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც პროდუქტები ძველდება მათი გაფუჭების, დაღპობის და ა.შ. გამო, გაყიდვამდე მათი დასაწყობების ან ტრანსპორტირებისას, ან როდესაც პროდუქტების ფასეულობა მნიშვნელოვნად მცირდება და როდესაც ბაზარზე მოთხოვნის დაცემის გამო, პროდუქცია იყიდება მის თვითღირებულებაზე უფრო დაბალ ფასად.

ბორუსან კატ საქართველოს სასაქონლო ნაშთი ძირითადად შედგება სათადარიგო ნაწილებისა და საგზაო-სამშენებლო ტექნიკისგან. იმის გათვალისწინებით, რომ ბორუსან კატ საქართველო აწარმოებს კომერციული საქონლის იმპორტს, მისი მომხმარებლებისაგან მიღებული წინასწარი შეკვეთების საფუძველზე და მას არ გააჩნია მარაგების მნიშვნელოვანი მოცულობა, შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის მიერ გაწეული სასაქონლო ნაშთის რისკი მცირეა.

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები

- მარაგების მნიშვნელოვანი მოცულობის არქონა;
- ფოკუსირება ნაკლებად მოძრავ მარაგებზე.

8. რისკები და მათი მართვა (გაგრძელება)

ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი

ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი შესაძლოა წინაპირობაა მოგების პოტენციური დაკარგვისა, რაც შეიძლება გამოწვეული იქნას გაცვლითი კურსების ცვლილებებით. გაცვლითი კურსების რყევის გამო შექმნილი გაურკვევლობით გამოწვეულ გაცვლითი კურსის რისკს ბორუსან კატ საქართველო ფარავს გაყიდვების ადგილობრივ ვალუტაში განხორციელების მეშვეობით. რადგანაც ბორუსან კატ საქართველოს შესყიდვებისა და გაყიდვების უმეტესობა აშშ დოლარში ხორციელდება, თუმცა გაყიდვის ფასი დამოკიდებულია დოლარის კურსის ცვლილებაზე, კომპანიის მიერ გაწეული გაცვლითი კურსის რისკი შეზღუდულია.

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები

- ღია პოზიციის ყოველკვირეული კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების გატარება.

საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს, რაც გამოწვეულია სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომლებიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

როდესაც კომპანია აძლევს მომხმარებელს საქონელს ან უწევს მას მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, კომპანია ატარებს მომხმარებლის მიერ გადაუხდელობის რისკს. ბორუსან კატ საქართველოს მიერ განხორციელებულ გაყიდვებზე თანხების ამოღებასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკს თავის თავზე იღებს ბორუსან კატ საქართველო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბორუსან კატ საქართველოს მომხმარებლებს უკვე მრავალი წელია წარმოადგენენ ერთი და იგივე, ფინანსურად სანდო კომპანიები. ამიტომ, კომპანიის რისკი თანხების ამოღებასთან დაკავშირებით - მცირეა.

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები

- ყოველი მომხმარებლისათვის დაწესებულია საკრედიტო ლიმიტი;
- ვადაგადაცილებული დავალიანების კონტროლი, ანალიზი და დროული მოქმედება;

საგარანტიო ღირებულების რისკი

საგარანტიო რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევებში, როდესაც საქონელი ვერ აკმაყოფილებს მოსალოდნელ ან გაცხადებულ სტანდარტებს. თუ შესაძლო ტექნიკური პრობლემა გამომდინარეობს მომხმარებლისაგან, პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს; თუ პრობლემა წარმოიქმნება პროდუქციის იმპორტიდან მის მიწოდებამდე, პროდუქტის გამოყენების პროცესში რისკი ეკუთვნის შესაბამის მომწოდებელ მხარეს. მეორეს მხრივ, საგზაო-სამშენებლო ტექნიკის, ენერგო სისტემების ან სათადარიგო ნაწილების დიზაინებიდან, წარმოებიდან და საბაზისო კომპონენტებიდან წამოჭრილ რისკებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მწარმოებელს და მას მთლიანად მწარმოებელი ანაზღაურებს.

მთავარი შემამსუშუქებელი სტრატეგია

- კატერპილარის ყველა პროდუქტზე გაიცემა სტანდარტული 1 წლიანი გარანტია;
- საგარანტიო ხარჯებს ანაზღაურებს მწარმოებელი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 6 აპრილს დამოწმებული შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ბაშარ გიუვენ _____

8. რისკები და მათი მართვა (გაგრძელება)

ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი

ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი შესაძლოა წინაპირობაა მოგების პოტენციური დაკარგვისა, რაც შეიძლება გამოწვეული იქნას გაცვლითი კურსების ცვლილებებით. გაცვლითი კურსების რყევის გამო შექმნილი გაურკვევლობით გამოწვეულ გაცვლითი კურსის რისკს ბორუსან კატ საქართველო ფარავს გაყიდვების ადგილობრივ ვალუტაში განხორციელების მეშვეობით. რადგანაც ბორუსან კატ საქართველოს შესყიდვებისა და გაყიდვების უმეტესობა აშშ დოლარში ხორციელდება, თუმცა გაყიდვის ფასი დამოკიდებულია დოლარის კურსის ცვლილებაზე, კომპანიის მიერ გაწეული გაცვლითი კურსის რისკი შეზღუდულია.

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები

- ღია პოზიციის ყოველკვირეული კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების გატარება.

საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომლის დროსაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს, რაც გამოწვეულია სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომლებიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

როდესაც კომპანია აძლევს მომხმარებელს საქონელს ან უწევს მას მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, კომპანია ატარებს მომხმარებლების მიერ გადაუხდელობის რისკს. ბორუსან კატ საქართველოს მიერ განხორციელებულ გაყიდვებზე თანხების ამოღებასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკს თავის თავზე იღებს ბორუსან კატ საქართველო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბორუსან კატ საქართველოს მომხმარებლებს უკვე მრავალი წელია წარმოადგენენ ერთი და იგივე, ფინანსურად სანდო კომპანიები. ამიტომ, კომპანიის რისკი თანხების ამოღებასთან დაკავშირებით - მცირეა.

რისკის გამანეიტრალებელი ძირითადი სტრატეგიები

- ყოველი მომხმარებლისათვის დაწესებულია საკრედიტო ლიმიტი;
- ვადაგადაცილებული დავალიანების კონტროლი, ანალიზი და დროული მოქმედება;

საგარანტიო ღირებულების რისკი

საგარანტიო რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევებში, როდესაც საქონელი ვერ აკმაყოფილებს მოსალოდნელ ან გაცხადებულ სტანდარტებს. თუ შესაძლო ტექნიკური პრობლემა გამომდინარეობს მომხმარებლისაგან, პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს; თუ პრობლემა წარმოიქმნება პროდუქციის იმპორტიდან მის მიწოდებამდე, პროდუქტის გამოყენების პროცესში რისკი ეკუთვნის შესაბამის მომწოდებელ მხარეს. მეორეს მხრივ, საგზაო-სამშენებლო ტექნიკის, ენერგო სისტემების ან სათადარიგო ნაწილების დიზაინებიდან, წარმოებიდან და საბაზისო კომპონენტებიდან წამოჭრილ რისკებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მწარმოებელს და მას მთლიანად მწარმოებელი ანაზღაურებს.

მთავარი შემამსუშუვებელი სტრატეგია

- კატერპილარის ყველა პროდუქტზე გაიცემა სტანდარტული 1 წლიანი გარანტია;
- საგარანტიო ხარჯებს ანაზღაურებს მწარმოებელი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 6 აპრილს დამოწმებული შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი
ბაზარ გიუვენ

